

შპს "არბო 2009"

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება....	8
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	9
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	17
4. ძირითადი საშუალებები.....	18
5. მარაგები	18
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15
7. ფული და ფულის ექვივალენტები	19
8. სასესხო ვალდებულებები.....	20
9. ამონაგები	20
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
12. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	17
13. ფინანსური რისკების მართვა.....	18
14. პირობითი ვალდებულებები.....	19
15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	20
16. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	20

შპს „არბო 2009“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „არბო 2009“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „არბო 2009“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თადლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 26 სექტემბერს.

დავით ჭრელაშვილი

დირექტორი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი



ბექა ბოსტაშვილი

ფინანსური დირექტორი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

შპს „არბო 2009“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „არბო 2009“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

(ლარი)

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	6 235 076	4 709 935
არამატერიალური აქტივები		792	1172
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 235 868	4 711 107
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	5	616 420	636 865
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5 611	4 321
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		1646	0
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		241 936	75 678
ფული და ფულის ექვივალენტები	7	3 056 582	2 491 241
სულ მიმდინარე აქტივები		3 922 195	3 208 105
სულ აქტივები		10 158 063	7 919 212
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		7 899 682	5 649 822
სულ კაპიტალი		7 899 782	5 649 922
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	1 281 977	1 625 114
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 281 977	1 625 114
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		247 624	53 128
მიღებული ავანსები		3 096	442
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	402 601	361 818
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		322 983	228 788
სულ მიმდინარე ვალდებულებები		976 304	644 176
სულ ვალდებულებები		2 258 281	2 269 290
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10 158 063	7 919 212

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 26 სექტემბერს.

დავით ჭრელაშვილი

დირექტორი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი



ბექა ზოსტაშვილი

ფინანსური დირექტორი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

6-20 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „არბო 2009“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „არბო 2009“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების

ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018
ამონაგები	9	20 010 940
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(12 897 573)
საერთო მოგება		7 113 367
სხვა შემოსავლები		-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(2 357 110)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	12	(1 592 469)
სხვა ხარჯები		0
საოპერაციო მოგება		3 163 788
ფინანსური შემოსავალი		246 456
ფინანსური ხარჯი		(181 906)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(47 842)
მოგება დაბეგვრამდე		3 180 496
მოგების გადასახადი		(46 072)
წმინდა მოგება		3 134 424
სხვა სრული შემოსავალი:		-
გადაფასების რეზერვი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		3 134 424

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 26 სექტემბერს.

დავით ჭრელაშვილი

დირექტორი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი



ბექა ბოსტაშვილი

ფინანსური დირექტორი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

6-20 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „არბო 2009“
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „არბო 2009“
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
 (ლარი)

დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2017		100	5 649 822	5 649 922
სულ წლის სრული შემოსავალი			3 134 424	3 134 424
გადახდილი დივიდენდები			(884 564)	(884 564)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018		100	7 899 682	7 899 782

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 26 სექტემბერს.

დავით ჭრელაშვილი

დირექტორი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი



ბექა ბოსტაშვილი

ფინანსური დირექტორი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

6-20 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „არბო 2009“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 26 სექტემბერს.

დავით ჭრელაშვილი

დირექტორი -----

-

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

ბექა ბოსტაშვილი

ფინანსური დირექტორი -----

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
(ლარი)

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	6 235 076	4 709 935
არამატერიალური აქტივები		792	1172
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 235 868	4 711 107
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	5	616 420	636 865
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5 611	4 321
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		1646	0
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		241 936	75 678
ფული და ფულის ექვივალენტები	7	3 056 582	2 491 241
სულ მიმდინარე აქტივები		3 922 195	3 208 105
სულ აქტივები		10 158 063	7 919 212
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		7 899 682	5 649 822
სულ კაპიტალი		7 899 782	5 649 922
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	1 281 977	1 625 114
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 281 977	1 625 114
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		247 624	53 128
მიღებული ავანსები		3 096	442
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	402 601	361 818
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		322 983	228 788
სულ მიმდინარე ვალდებულებები		976 304	644 176
სულ ვალდებულებები		2 258 281	2 269 290
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10 158 063	7 919 212

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 26 სექტემბერს.

დავით ჭრელაშვილი

ბექა ბოსტაშვილი

დირექტორი -----

ფინანსური დირექტორი -----

2019 წლის 26 სექტემბერი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

**სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების
ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)**

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018
ამონაგები	9	20 010 940
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(12 897 573)
საერთო მოგება		7 113 367
სხვა შემოსავლები		-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(2 357 110)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	12	(1 592 469)
სხვა ხარჯები		0
საოპერაციო მოგება		3 163 788
ფინანსური შემოსავალი		246 456
ფინანსური ხარჯი		(181 906)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(47 842)
მოგება დაბეგვრამდე		3 180 496
მოგების გადასახადი		(46 072)
წმინდა მოგება		3 134 424
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		3 134 424

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 26 სექტემბერს.

დავით ჭრელაშვილი

ბექა ბოსტაშვილი

დირექტორი -----

ფინანსური დირექტორი -----

-

2019 წლის 26 სექტემბერი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

6-20 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „არბო 2009“
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
(ლარი)

დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2017		100	5 649 822	5 649 922
სულ წლის სრული შემოსავალი			3 134 424	3 134 424
გადახდილი დივიდენდები			(884 564)	(884 564)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018		100	7 899 682	7 899 782

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 26 სექტემბერს.

დავით ჭრელაშვილი

ბექა ბოსტაშვილი

დირექტორი -----

ფინანსური დირექტორი -----

-

2019 წლის 26 სექტემბერი

2019 წლის 26 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

6-20 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „არბო 2009“ დაფუძნებულია 2009 წლის 20 თებერვალს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 205273498. კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა ფიზიკური პირი დავით ჭრელაშვილი (პ/ნ 14001002314).

შპს „არბო 2009“-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის ქ. №17. კომპანია არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი დავით ჭრელაშვილი (პ/ნ 14001002314).

კომპანიაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 365 თანამშრომელი, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 439 თანამშრომელი. წლის განმავლობაში საშუალო მონაცემი შეადგენდა 395 თანამშრომელს.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

2.1 წარდგენის საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, კომპანია მომავალი საანგარიშო პერიოდიდან სრულად გადავიდეს მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაინგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

კურსი	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	5-30
ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავეჯი და ინვენტარი	5-12
სატრანსპორტო საშუალებები	2-7
სხვა ძირითადი საშუალებები	2-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად შერჩევის პრინციპის საფუძველზე.

2.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება;
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ;

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.5 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულების წარმოებასთან, როგორიცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორიცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება ხორციელდება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც იქნა გაწეული.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება პერიოდულად (სრული ან შერჩევითი მეთოდით) და შესაბამისი ინვენტარიაზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა ან შემოსავლად აღიარება.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს სარეალიზაციო პროდუქცია საცალო ვაჭრობისათვის და მათი ჩამოწერის დროს ჩამოწერის თანხა შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილს.

2.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მიწოდებული საქონლის ღირებულებისაგან. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

2.7 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას. კომპანიის გადახდილ ავანსს ძირითადად წარმოადგენს საქონლის და მომსახურების მომწოდებელი კომპანიებისათვის წინასწარ გადახდილი თანხები.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

2.9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. პარტნიორის გადაწყვეტილებით კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გატანა. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

2.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად წარმოადგენს მომწოდებლებთან არსებულ მოკლევადიან ვალდებულებებს.

2.11 სესხები

სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახადელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა და ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველაწარმოადგილი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

2.12 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

2.14 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	სხვა	სულ	
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1 962 984	12 816	1 399 263	227 104	303 127	512 316	900 733	136 151	5 454 414
აკუმულირებული ცვეთა									
ნაშთი პერიოდის დასაწყისში			(261958)	(55 558)	(66 967)	(100 662)	(191 748)	(67 585)	(744 479)
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1 962 984	12 816	1 137 305	171 546	236 160	411 654	708 985	68 566	4 709 935
შესყიდვები	930 392	1354	451 352	56 065	120 910	271 397	162 743	66 629	2 060 842
ჩამოწერა/გაყიდვა			(24 132)	(5 948)	(24 640)			(67 393)	(122 112)
ცვეთის ხარჯი			(136 281)	(48 869)	(46 626)	(71 467)	(146 438)	(49 900)	(499 581)
გასული ძირ. საშ. ცვეთა			5 596	237	12 767			67 393	85 992
ნაშთი პერიოდის ბოლოს	2 893 296	14 170	1 433 840	173 031	298 571	611 584	725 290	85 295	6 235 076

2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საერთო ფართობი 1600კვ.მ.) დატვირთულია იპოთეკით სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკი“-ის მიერ 2017 წლის 13 სექტემბრის # 1231231775182 ხელშეკრულების საფუძველზე და დღეის მდგომარეობით იპოთეკა მოხსნილი არ არის.

5. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2018	01.01.2018
საქონელი	97 271	69 973
ნედლეული და მასალები	452 776	500 567
ნახევარფაბრიკატები	50 646	51 583
მზა პროდუქცია	15 727	14 742
სულ მარაგები:	616 420	636 865

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო მოთხოვნები	6 873	4321
საექვო მოთხოვნების რეზერვი	-6 573	0
გადახდილი ავანსები	247 247	75 678
სულ მოთხოვნები:	247 547	79 999

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ვადების ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი სახისაა:

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	ნაშთი 31.12.2018	შექმნილი გაუფასურების რეზერვი
ვადაგადაცილებული 360 დღეზე მეტი	6 573	6 573
სულ:	6 573	6 573

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული ლარებში	682 943	369 405
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	2 373 634	2 121 719
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	5	117
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	3 056 582	2 491 241

8. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2018	01.01.2018
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1 275 426	1 625 114
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	402 601	361 818
სესხზე დარიცხული პროცენტი	6 551	0
		1 986
სულ სესხები და დარიცხული პროცენტები:	1 684 578	932

9. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შედგება:

დასახელება	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	19 930 458
შემოსავალი მომსახურებიდან	80 482
სხვა საოპერაციო შემოსავლები	0
სულ ამონაგები:	20 010 940

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შედგება:

დასახელება	31.12.2018
პირდაპირი მასალები	8 365 510
შრომითი ანაზღაურება	2 833 227
კომუნალური გადასახადები	333 690
იჯარის ხარჯი	733 357
ცვეთის ხარჯი	210 828
დამხმარე მასალები	361 949
რემონტის ხარჯი	31 967
ტრანსპორტირების ხარჯი	17 543
სხვა	9 502
სულ ამონაგები:	12 897 573

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შედგება:

დასახელება	31.12.2018
შრომითი ანაზღაურება	1 298 357
იჯარის ხარჯი	192 511
ცვეთის ხარჯი	259 471
დაზღვევის ხარჯი	2 501
საგადასახადო ხარჯი	47 946
საკონსულტაციო ხარჯი	10 635
რემონტის ხარჯი	90 750
საბანკო მომსახურების ხარჯი	99 286
კომუნალური გადასახადები	187 594
ტრანსპორტირების ხარჯი	21 519
კომუნიკაციის ხარჯი	29 808
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	116 732
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები:	2 357 110

12. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შედგება:

დასახელება	31.12.2018
სარეკლამო ხარჯი	23 102
შრომითი ანაზღაურება	664 245
რეალიზაციის დანახარჯები	110 071
იჯარის ხარჯი	204 347
ცვეთის ხარჯი	29 662
ტრანსპორტირების ხარჯი	558 386
სხვა	2 655
სულ ამონაგები:	1 592 469

13. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთების რისკებს. ამასთან კომპანია პერმანენტულად ახორციელებს სამუშაოებს საოპერაციო რისკების მინიმიზაციის კუთხითაც.

საკრედიტო რისკი

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	247 547	79 999
ფული და ფულის ექვივალენტები	3 056 582	2 491 241
სულ საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული ფინანსური ინსტრუმენტები:	3 304 129	2 571 240

კომპანიას სავალუტო ნაშთები გააჩნია მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად ნაშთებზე და მიღებულ სესხებზე. სავალუტო ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 5 ლარის ექვივალენტს და 117 ლარის ექვივალენტს; ხოლო არსებულ სესხებზე და სესხზე დარიცხულ პროცენტებზე ნაშთი იყო 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად 1 684 578 ლარის ექვივალენტი და 1 986 932 ლარის ექვივალენტი.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გამყარება/გაიაფების მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით გვაქვს 168 457 და 198 682 ლარი, რაც გვიჩვენებს, რომ კომპანიისათვის სავალუტო რისკი მნიშვნელოვანი არ არის.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეობა.

14. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვლადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით

შპს „არბო 2009“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი.

კომპანიას დაკავშირებული მხარეები არ გააჩნია.

16. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.